საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინაძე მერი პლატონის ასული

ინაძე მერი პლატონის ასული (9. X. 1928, თბილისი, – 21. V. 2012, იქვე), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1968). 1944–49 სწავლობდა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტზე. 1952–2006 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის ძვ. ისტორიის განყ-ბაში. 1968 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ძველი კოლხეთის შავიზღვისპირა ქალაქები".

ი. იკვლევდა ანტ. ხანის ისტორიის საკითხებს. მისი ნაშრომები ეხება ძველი კოლხეთის სა-ხელმწიფოს წარმოქმნასა და განვითარებას, ქალაქებსა და სატაძრო ცენტრებს, სავაჭრო ურთიერთობებს, შავიზღვისპირეთის ბერძნ. ახალშენებს, ელინიზმის გავლენას სამხრ. კავკასიაში და სხვა.

1997 მიენიჭა ს. ჯანაშიას სახ. პრემია.

თხზ.: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982; ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994; ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009; Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968.